

2021-2022 | საქართველოს ჩემპიონატი

რეგიონული (მეორე) ლიგა

1. მონაწილეთა რაოდენობა: 20

რეგიონული ლიგის გუნდები გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით იყოფიან ორ – დასავლეთ და აღმოსავლეთ – ჯგუფად:

დასავლეთი		აღმოსავლეთი	
1	დინოზავრი წყალტუბო	1	ივერია თბილისი
2	მათე ჭიათურა	2	დინამო თბილისი
3	აიეტი ვანი	3	დევები თბილისი
4	არწივები ზესტაფონი	4	გორი გორი
5	ფირალები ქედა	5	წიქარა თბილისი
6	კოლხი რაინდები ფოთი	6	რაშები თბილისი
7	მეკობრეები ბათუმი	7	სპორტუნი იბერია თბილისი
8	ლეგიონი ხაშური	8	სტუ თბილისი
9	რაგბის კლუბი ზუგდიდი	9	ტირიფი თელავი
10	ფენიქსი სამტრედია	10	ხალიბები რუსთავი

1.1 სათამაშო დღეები: პარასკევი, შაბათი, კვირა

1.2 ძირითადი დებულების თანახმად, განაცხადში უნდა ეწეროს მინიმუმ 32 (ოც და თორმეტი) მოთამაშე

1.3 სამონაწილეო გადასახადია გუნდზე 500 (ხუთასი) ლარი

1.4 სალიცენზიო გადასახადია მოთამაშეზე 15 (თხუთმეტი) ლარი

2. გათამაშების სისტემა

2.0 შეჯიბრება ტარდება ორ ეტაპად.

2.0.1 I ეტაპი – რეგულარულ ჩემპიონატი – გაიმართება ორ წრედ:

ჯგუფებში ცალ-ცალკე: მიმოსვლით – შინ და გარეთ (18 ტურად)

2.0.2 ლიგის ჩემპიონი გამოვლინდება II ეტაპზე – პლეი-ოფში

ამ ეტაპზე მონაწილეობს ჯგუფების ორ-ორი (2-2) მოწინავე გუნდი – სულ ოთხი (4)

2.1 I ეტაპზე (რეგულარულ ჩემპიონატში) ადგილები განაწილდება დაგროვილი ქულებით

2.1.1 თუ ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა ტოლი ქულა, დაწინაურდება ის გუნდი,

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ორ ურთიერთ-შეხვედრაში

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ვ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ეტაპის ორ წრეში

2.2 ჩემპიონატის II ეტაპზე – პლეი-ოფში – თამაშები გაიმართება

ჯვარედინი სქემით, ორ (2) ტურად

"მასპინძლობს" ნიშნავს "ირჩევს მოედანს"

2.2.1 პირველ ტურში ორი ორ-მატჩა ნახევარ-ფინალური დუელია

დას 1 – აღმ 2

აღმ 1 – დას 2

2.2.1.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია ჯგუფის მეორე გუნდი (დას 2, აღმ 2)

გამარჯვებულები გადიან ფინალში

2.2.1.2 დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით

ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება

2.2.1.3 დუელში ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი,

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ამ ორ მატჩში

ბ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ამ ორ მატჩში

გ) რომელსაც უკეთესი ადგილი ეჭირა თავის ჯგუფში (დას 1, აღმ 1)

2.2.2 მეორე ტურში ერთი მატჩია – ფინალი ნეიტრალურ მოედანზე

მოგებული ხდება რეგიონული ლიგის ჩემპიონი (იკავებს I ადგილს), წაგებული იკავებს II ადგილს

2.2.2.1 ფინალში ფრეზე ინიშნება ორი დამატებითი, 10-წუთიანი ტაიმი

2.2.2.2 თუ გამარჯვებული ამის შემდეგაც ვერ გამოვლინდა, გამარჯვებულად ცხადდება ის გუნდი:

- ა) რომელმაც მეტი ლელო გაიტანა ამ მატჩში
- ბ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ამ მატჩში
- გ) რომელიც მოიგებს მატჩის შემდეგ დანიშნულ შუთაუთს – 5 დარტყმა მიწიდან, 22-მეტრა ხაზზე, სამი ადგილიდან

2.2.3 რეგიონული ლიგის ჩემპიონი პირდაპირ ადის 2022-2023 სეზონის I ლიგაში და ცვლის 2021-2022 სეზონის I ლიგაში ბოლო, X ადგილზე გასულ გუნდს

2.2.4 რეგიონულ ლიგაში II ადგილზე გასული გუნდი შემდეგი, 2022-2023 სეზონისთვის I ლიგაში ასასვლელად ორ-მატჩა დუელში ეთამაშება 2021-2022 სეზონში I ლიგის IX ადგილოსანს

2.2.4.1 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია რეგიონული ლიგის გუნდი

2.2.4.2 დუელის გამარჯვებული გამოვლინდება ორი თამაშის ჯამური ანგარიშით ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება

2.2.4.3 დუელში ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი,

- ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ამ ორ მატჩში
- ბ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ამ ორ მატჩში
- გ) I ლიგის გუნდი

2.3 ყველა ახალ-შექმნილი კაცთა გუნდი შემდეგ, 2022-2023 სეზონში ასპარეზობას იწყებს რეგიონალურ ლიგაში – გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით

3. სავარაუდო ვადები

2021 წლის სექტემბერი – 2022 წლის მაისი

23/07_2021